

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომის

ოქმი №15

ქ.ვანი. თავისუფლების ქ.№65

24 აგვისტო 2020 წელი

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომას თავმჯდომარეობდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე -**გიორგი ივანიაძე**.

სხდომას ესწრებოდნენ ბიუროს წევრები: გიორგი ივანიაძე, რამაზ არველაძე, ტარიელ ბარამიძე, გიგა გოგიბერიძე, გელა ვარდოსანიძე, ვლადიმერ ჭვალაძე, გელა ღვიტიძე.(დანართი №1).

სხდომას საპატიო მიზეზის გამო არ ესწრებოდნენ: ალექსანდრე ლილუაშვილი, კობა ტოხვაძე, კობა მაგნიძე, გელა ჩიკვაძე, ეთერ ჭიჭინაძე.

სხდომას ესწრებოდნენ: საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო საკითხთა განყოფილების უფროსის მოადგილე საორგანიზაციო საკითხებში- **ლუბა გოგოძე**.

მოწვეული პირი:

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი -**ზვიად კაპანაძე**.

სხდომა 11⁰⁰-საათზე გახსნა საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარის მოადგილემ გიორგი ივანიაძემ და წარმოადგინა 2020 წლის 24 აგვისტოს ბიუროს სხდომის

დღის წესრიგი

1. საპროექტო განაცხადის „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შეძენა“ მოწონებისა და იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მის წარსადგენად ვანის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა 2020 წლის 24 აგვისტოს საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი

ბიუროს წევრი .

დღის წესრიგის საკითხთან დაკავშირებით, მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ (ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზით არყოფნის გამო) წარმოადგინა განკარგულების პროექტი „საპროექტო განაცხადის „ბაღდათისა და ვანის მუნიციპალიტეტების მოსახლეობის უსაფრთხოების უზრუნველყოფისა და მეწარმეების განვითარების ხელშეწყობის მიზნით არტეზიული ჭების მოსაწყობად საბურღი მძიმე ტექნიკის შექმნა“ მოწონებისა და იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულ საგრანტო კონკურსში მის წარსადგენად ვანის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე“

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ იაპონიის საელჩოს მიერ გამოცხადებულია საგრანტო პროექტი, რომ არტეზიული ჭების მოსაწყობად შექმნილი იქნას საბურღი მძიმე ტექნიკა. ჩვენ ბაღდათის მუნიციპალიტეტთან ერთად ვამზადებთ ყველა იმ მოთხოვნას რაც გრანტის მისაღებადაა საჭირო.

ბიუროს წევრების მხრიდან შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

ბიუროს სხდომის თავმჯდომარემ გიორგი ივანიაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის საკითხს.

ღია კენჭისყრის შედეგი იყო შემდეგი:

მომხრე -7

წინააღმდეგი-არცერთი.

ბიუროს წევრი.

ბიუროს წევრებმა მიიღეს გადაწყვეტილება აღნიშნული საკითხი შეტანილი იქნას საკრებულოს 2020 წლის 24 საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

ამით ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს რიგგარეშე სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

გიორგი ივანიაძე

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის თავმჯდომარე